სახალხო გაზეთი

№ 1124 სამშაბათი, 25 თებერვალი 1914 წ. № 1124

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

იოსებ იაკობის ძე და ალექსანდრე იოსების ძე ანდრონიკაშვილები მეუღლითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ტფილისში მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა—და, ხოლო მეორისა—მამიდა

ეკატერინე იოსების ასული ქაჩხოევისა.

გამოსვენება მოხდება დღეს, 25 თებერვალს, დილის 11 საათზე კათოლიკეთა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიიდან (ნიკოლოზის ქუჩა), დასაკრძალავად კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე, წირვა დაიწყება 10 საათზე. 128

დავით და ვლადიმერ იესეს ძენი გაგუები, ანა იესეს ასული ცეკვაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა საყვარელი მათი მამა

იესე გაბუს ძე გაგუა.

დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 26 თებერვალს, სოფ. ქოთიანეთში. 1077

მატრონე ბიჭიას ასული და მაკრინე სიმონის ასული, ნატალია, ნინო და ანა სერაფიონ ფერაძის ასულნი, ნაუმ იროდიონის ძე გეგეშიძე გულდაუთუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 თებერვალს ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. სოხუმში გარდაიცვალა პირველის ერთად-ერთი ვაჟი, მეორესი მაზლის წული, მესამე, მეოთხე და მეხუთესი საყვარელი ძმა და უკანასკნელის ცოლის ძმა ქუთაისის კერძო გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

გრიგოლი (გრიშა) ფერაძე.

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 25 თებერვალს, ს. საქარაში, (სადგურ ყვირილის მახლობლად), წმ. გიორგის ეკლესიაში.

სოფიო, ოლღა, მაგდანი, გიორგი, დიმიტრი და დავით ანანიაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24-ს თებერვალს გარდაიცვალა პირველის ქმარი, მეორის მული და დანარჩენების და

მარია ანანიაშვილისა.

პანაშვიდი დღეს, 1-ლ საათზე და საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა ოთხშაბათს, 26-ს თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე; ბინა—კვირაცხოვლის (კრასნოგორის) ქუჩა, № 38. 132

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში
დღეს, 25 თებერვალს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. მმართ. წრის მიერ

რეჟის. ალ. წუწუნავას საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება:

პირიმზე, (ქალის და მამის სულთა ბრძოლა),

ხალხური მოთხრობა კ. ფოცხვერაშვილის, გალექსილი შოთა დადიანის მიერ მუსიკით. ალ. იმედაშვილის მონაწილეობით

II) **მორევში,** მესამე მოქმედება ს. ქანტურიშვილისა.

III) **რევიზორი,** მეხუთე მოქმ. გოგოლისა. **დადგმული იქნება მოსკოვის სამხატვრო თეატრის გეგმით და მიზან-სცენებით.**

მონაწილეობას მიიღებენ წრის ყველა სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი. ადგილ. ფასი 15 კ.-დან 2 მ.-დე. დასაწყ. საღ. 8 ს.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** რეჟ. თანაშემწე **ალ. გუგუშვილი.**
ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინ.

1002

არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი

სამშაბათს, 25 თებერვალს, 1914 წ. ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი

ს. ვ. იაბლონოვსკი

წაიკითხავს **ლექციას**

„ცხოვრებიდან მიმავალნი“

(თვითმკვლელობის საკითხზე)

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი დამსწრე საზოგადოების მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათს, 27 თებერვალს, მეორე ლექცია ს. ვ. იაბლონოვსკისა: **„დაუბადებელთა უფლება“** (მუცლის მოწყვეტის წინააღმდეგ). ბილეთები 55 კ. 3 მ. იყიდება არტისტიულ საზოგადოების კლუბში შესავლელთან. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 116

ახალი კლუბი

სამშაბათს, 25 თებერვალს,

საოჯახო საღამო.

დრამატიულ მოყვარულთა ხელოვნების ჯგუფი, დაარსებული „ახალ კლუბთან“, წარმოადგენს 1) **„რომანტიკი“** როსტანისა, ლექსად გადმოთარგმნილი შჩეპკინა-კუპერნიკისა. 2) **ფიფი,** დრამატიული ეტიუდი ფილიპისა. 3) **რაინდი ინდუსტრიისა,** მინიატურა ავერჩენკოსი.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნ ვერა ტიზენგაუზენისა, სკლიაროვისა, ბ-ნნი: ნ. ნ. ბეგთაბეგოვი, ხ. ს. ე. ბუტეხკო, ნ. გ. მაჭავარიანი, მ. ფ. ქორელი და სხ. ადგილ. ფასი პარტერში: პირველი რიგი 1 მ., 2 და 3—75 კ., 4, 5 და 6—50 კ., 7, 8, 9—30 კ. დანარჩენი 20 კ. ქანდარა ხელმისაწვდომია.

დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს. 1052

ბატონებო!

თანაგვიგრძენით, მოითხოვეთ და მიირთვით ხოლმე თავანკარი დიღმური

რძე

ამხ. **„ანქარა“**-სი; დილაობით მოგერთმევათ დაბანდეროლებული შუშის ჭურჭლით, **იაფად.** ბინა: ტფილისში, ერევნის მოედანზე, საზოგადოება **„ვოლგასთან“.** 122

საგანგებო რეკლამის გულისათვის

სარატოვის სარფინკების მექარხნეთა

სავაჭრო სახლის

„ე. ე. მაიერ“-ის

მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკაზ“-ის ქვეშ, ტელეფ. №№13—15.

ამ წლის 21 თებერვლიდან 1 მარტამდე დანიშნულია გაყიდვა მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლისა

საარაკო იაფ ფასებში

ნამდვილ ღირებულებაზე 20 და 40 პროცენტის დაკლებით.

საჭიროა ყველამ შემოიაროს მაღაზიაში და თვითონ დარწმუნდეს ნამდვილ იაფობაში.

პატივისცემით **სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერი“.**

1066

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ზინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1604

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და [illegible] სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილებაა.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი შ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12 **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ძარღვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი სასყიდლით. წ. 1070

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) კლექ. და დამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

აბელედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჯე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11\frac{1}{2}$ ს.

ბოლოცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევა—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვა—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ასმასოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკა. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვა. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოხსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინცე—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. **ელექტროტერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.

1053



მიიღება ხელის მოწერა

ბეგლარ ახოსპირელის

სრულ ლექსთა კრებულის და პოემების

დასაკვეთად (200 გვერ.). წიგნს წამძღვარებული ექნება სტუდ. **ვახტ. კოტეტიშვილის** კრიტიკული წერილი: **„ბეგლარა ახოსპირელი და მისი სიმღერა“.**

დასაკვეთი ფასი—40 კ. წიგნი გამოვა მაისის პირველ რიცხვებში. ხელის მოწერა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—პოეტ ვარლ. რუხაძესთან; ბაქოში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ბაქოს განყოფილებაში.

1079

პატივისცემით ამხ. „სინათლე“.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა,

სუმბათაშვ. ლალატი, ტ. 1906.	1—25 კ.
ტარუაშვილი. თხები და ცხვრები, იგავი, ტ. 1913.	15 „
„ მამა-შვილი, ანუ გაუბედურებულნი, დრ. 3 მ. ტ. 1908.	15 „
„ მტარვლის ბედი, დრ. 1 მოქ. ტ. 1910.	10 „
ფურცელაძე ან. ასული ისრაილისა, ტ. 1900.	30 „
მაცი ხვიტია, ტ. 1911, მისივე,	50 „
ქიტესა ტ. 1890.	15 „
ბრძოლა საქ. მოსპ. და საქარ. შესაერთებლად, ტ. 1912.	1 მ.
ფრონელი ა. მთიულეთი, 1804, ტფ. 1806 წ.	40 „
ამბოხ. კახეთ. (1812), ისტ. ამბები, ტ. 1907,	60 „
მთის არწივი შამილი, ისტორ. ამბავი, ტ. 1914. მისივე,	25 „
ქილილა და დამანა, ტ. 1886.	1— „
ქვარიანი ს. სუმბული, ლექსები. ყვ. 1901.	25 „
ვიზიტი (ეტიუდები), 1903.	10 „
ქებათა-ქება და სულემან. ტ. 1909.	10 „
ყაზბეგი ალ. თხზ. ტ. 1905.	3—50 „
ელისო, ქუთ. 1909.	10 „
ყარამანიანი. 16 კარ. თითო კარი	40 „
ყიფიანი ვ., სამეგრ. მთავ. ლევანი, ისტ. დრამა 5 მოქ.	40 „
ყიფიანი სვ. წვრ: მოთხრ. 1911.	60 „
შიუკაშვ. გამხმარი ფოთ. 1911.	20 „
„ მეგობრ. დრ. 4მ. ტ. 1911.	30 „
მიღებულია ახალი წიგნები:	
თაყაიშვ. ე. საისტ. მასალ. 1913.	25 „
ხუნდაძე ს. ქართ. ლიტერ სახელმძღვანელო, ქუთ. 1914.	15 „
ევდოშვ. საყმაწ. მოთხრ. 1914.	10 „

ადრესი: **Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.**

ქუთაისში
კ. ოცხელისა და ამხ.
წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემა
სამეცნიერო და სალიტერატურო კრებული
„ცხოვრება და მეცნიერება“
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ეღირება 1 მანეთად. 1064

ვაგზლის სამკურნალოში
(მიხრნოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ.
წამლობა „914“. 1023

ექიმთა საზოგადოების
სამკურნალო
მუდმივ საწოლებით.
(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
ტელეფ. № 1026.
ავადმყოფებს მიიღებს:
აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.
ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და [illegible]. 12—1 ს.
კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12 ნახევარ ს.
სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან. ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.
შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

სააგარაკოდ
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყოფა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ [illegible] ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ [illegible], დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემული კვიტანციისა. 1073

ქ. გორში
ექიმი (დოქტორანტი) მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1571

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, ბარონის ქუჩის ახლო, სასტ. [illegible] პირდაპირ. 102

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა. № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 იენისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ბედოვლათი მეცნიერები

მეცნიერი ჩვეულებრივად ძალიან ბევრსა მუშაობს, დღესა და ღამეს ასწორებს წვრილმან საკითხების ჩხრეკაში, სანამ რაიმე საბოლოო დასკვნას დაადგებოდეს. მეცნიერი მთელი თავისი თვისებით კრიჟანგია. ხანდისხან მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მუშაობს, რომ სიცოცხლის მიწურულში აჩუქოს კაცობრიობას ერთი, ან ორი ფრაზა —საბოლოო დასკვნა წინა ხანების სამეცნიერო მუშაობისა. მაგრამ ფასი ამნაირი მეცნიერული დასკვნისა სულ სხვანაირია, ეფექტი სულ სხვანაირი მოჰყვება ხოლმე. ძალიან ხშირად ეს ერთი ან ორი ფრაზა მთელს რევოლუციას ახდენს მეცნიერებაში. ეს იმიტომა ჰხდება, რომ მეცნიერი კრიჟანგია და დაჩვეული არ არის მარცხნითა და მარჯვნით ჰფანტოს „მეცნიერული ჭეშმარიტებანი“.

ჩვენში, სადაც საზოგადო ბედოვლათობას მაგრადა აქვს ფეხი მოკიდებული, მეცნიერულმა ბედოვლათობამაც მოიკიდა ფეხი. დავიწყებულია, რომ, სანამ ადამიანი ამა თუ იმ დასკვნას დაადგებოდეს, სანამ ამა თუ იმ „ჭეშმარიტებას აღმოაჩენდეს“, საჭიროა ძალიან დიდი წინასწარი მუშაობა. ჩვენში ასე არა ჰხდება. მოეპრიანება ვისმეს და ხელად ახალს „თეორიას“ გამოაცხობს, ერთს მშვენიერ დილას ლოგინიდან ცუდს გუნებაზე ადგება და... ახალი პოლიტიკური პროგრამა, ახალი მეცნიერული აღმოჩენა მზად არის. ჩვენში ყველაფერი ადვილია, მეცნიერებაც ადვილი ყოფილა. ამიტომა ჰხდება, რომ სრულიად დავიწყებულია მთავარი მოთხოვნილება ყოველ-გვარი გონებრივი მუშაობისა— ანგარიში გაუწიო ყველა იმას, რაც შენამდის გაკეთებულა. ამიტომ არის, რომ ჩვენში არავითარი გონებრივი დისციპლინა არ არსებობს. ჭეშმარიტ მეცნიერს ვერ შეუძლიან წინა თაობათა გონებრივ ნამუშევარს პირდაპირ გადააბიჯოს; მან აუცილებლად უნდა გაიაროს მთელი ის გზა, რომელიც წინა თაობას გაუვლია და მხოლოდ მას შემდეგ შეჰქმნას თავისი რამ ახალი, თუ ამისი შნო და უნარი აქვს. ამისთანა პირობებში იქმნება მეცნიერული სისტემები. ჩვენში ამნაირი გზის გავლა ზედ-მეტ ბარგად არის მიჩნეული.

აიღეთ, მაგალითად, ჟურნალი „კლდე“. ორი ნომერი მიჰქრავს ხელში და ორივეში ისეთი ახალი „მეცნიერული აღმოჩენაა“, რომ პირდაპირ აღარ იცი, რომელს გაუწიო ანგარიში. თვითეული იმ აღმოჩენათაგანი ეპოქას შეჰქმნიდა მეცნიერებაში, იგი რომ მართლა მეცნიერული გონების ნაყოფი ყოფილიყო. გადაიკითხეთ, მაგალითად, წერილი „მიწის საკითხი.“ ეს ღირსშესანიშნავი წერილი ამნაირად იწყება: „ბევრს გაუკვირდება და უცნაურად მოეჩვენება ის, რის დამტკიცებაც შეადგენს ამ წერილის მიზანს: ჩემის აზრით სოციალიზმთან კერძო საკუთრება უფრო ახლოს არის, ვიდრე მიწის სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია ან ნაციონალიზაცია“. ეს ისეთი აღმოჩენაა, რომელსაც შეეძლო მთელი ხანა შეექმნა სოციალისტურ მწერლობაში. დღემდის ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, სულ სხვანაირად გვეგონა. თანახმად ცოდნის იმ ჯამისა, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, სოციალიზმი პრინციპიალური უარყოფაა კერძო საკუთრებისა. ეს ის დედა-ბოძია, რომელსაც ემყარება ყოველნაირი მიმართულების სოციალისტური თეორია და პრაქტიკა. ვერ ნახავთ დედამიწის ზურგზე ვერც ერთს ისეთს სოციალისტს მეცნიერს, რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი, რომ სთქვას, სოციალიზმს კერძო საკუთრება უფრო შეეფერებაო.

შეიძლება ადამიანი მომხრე იყოს კერძო საკუთრებისა და წინააღმდეგი სოციალიზმისა. ბევრია ასეთი, მთელი ლიბერალური ბურჟუაზია პრინციპიალური დამცველია კერძო საკუთრებისა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ისიც კი იძულებული ჰხდება ხელი შეახოს ამ „წმიდათა წმიდას“. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს გვაძლევს ინგლისის მთავრობის უკანასკნელი წლების აგრარული კანონები. რომ ეთქვათ, პროგრესისთვის, განვითარებისთვის კერძო საკუთრება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სოციალიზმიო, ეს მართალი თუ არა, გასაგები მაინც იქნებოდა. მაგრამ, როდესაც ამბობენ სოციალიზმს კერძო საკუთრება უფრო შეეფერებაო, ეს კი იმდენად გაუგებარი და ამასთანავე ერთად ცხელ-ცხელი აღმოჩენაა, რომ ჩვენს თავს ნებას მივცემთ ამის მთქმელს არ დაუჯეროთ. ავტორის ფიცი ამისთანა აღმოჩენის მისაღებად საკმარისი არ არის და სხვაფრივ კი იძულებული ვხდებით ვუცადოთ იმ დროს, როდესაც ჩვენებური ბედოვლათი მეცნიერები სოციალისტურ მწერლობას ყირამალა დააყენებენ. დღემდის სოციალურსა და ბურჟუაზიულ აზროვნების შორის დავა იყო. სადავო საგნად კერძო საკუთრება იყო მიჩნეული. ბედოვლათ მეცნიერებს უნდათ სწორედ ეს სადავო საგანი გამოიყენონ მოწინააღმდეგე აზროვნებათა შესათანხმებლად. ჭიანჭველამ მრავალი წლების სოციალისტური და ბურჟუაზიული მწერლობა წამოიკიდა ზურგზე და ვნახოთ, დასცემს თუ არა ძირს. ჩვენ ძალიანა ვეჭობთ.

მეორე მეცნიერული აღმოჩენა ფედერალიზმს შეეხება. „იგი (ე. ი. ფედერალიზმი, ა. ჯ.), —სწერს ჟურნალი „კლდე“, —არც ფორმაა მართვა-გამგეობისა, სახელმწიფოსი, კონსტიტუციისა, იგი მხოლოდ კომბინაციაა. სწორედ მოგახსენოთ, ბევრი ვიფიქრეთ, რომ გაგვეგო, რას ჰგულისხმობდა ავტორი, როდესაც ამასა სწერდა, მაგრამ ვერ გავიგეთ. ფედერალიზმი მართვა-გამგეობის ფორმა არ არის, იგი მხოლოდ კომბინაციაა. მაშ, რა არის შეერთებული შტატები ამერიკისა? იქ მართვა-გამგეობა არ არის? რა არის შვეიცარია? იქნება არც იქ არის მართვა-გამგეობა? რა არის აფრიკის შეერთებული შტატები, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად შეჰქმნა ინგლისმა დაპყრობილ ახალშენებში? იქნება არც იქ არის მართვა-გამგეობა? ყველა ზემოხსენებულ სახელმწიფოში, როგორც ფედერატიულ სახელმწიფოებში, არა ყოფილა მართვა-გამგეობა, სახელმწიფო კონსტიტუცია. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლიან სრულიად შევცვალოთ ტერმინოლოგია და ვსთქვათ: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების კომბინაცია, შვეიცარიის კომბინაცია, აფრიკის კომბინაცია და სხვა. თუ ძალიან ესიამოვნება, დაე ასე იყოს. არა გვგონია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ან შვეიცარიას რაიმე დააკლდეს იმით, რომ ჟურნალ „კლდე“-ში ვინმე ა—ი მათ სახელმწიფოებრივ ფორმას უწოდებს კომბინაციას და არა ფედერაციას. არც ჟურნალი „კლდე“ წააგებს: ქვეყანა მაინც გაიგებს, რომ შეიქმნა ახალი თეორია, რომლის მიხედვითაც ყველგან ფედერატიულ სახელმწიფოებს კომბინაციური სახელმწიფოები უნდა ეწოდოს. ესეც ღირს რამედ თუ არა!

არ. ჯ—შვილი.

ქართული პრესა

23 თებერვალი დასავლეთ ევროპაში ქალთა განთავისუფლების და გათანასწორების დღესასწაულია, ისე როგორც პირველი მაისი მუშათა დღესასწაულია. ამის გამო „სიმართლის ხმა“ მეთაურს უძღვნის ქალთა საკითხს და სწერს:

> მთელი თანამედროვე ცხოვრების საფუძველი კერძო საკუთრებაა. სიყვარულის ნაცვლად ვიწრო ანგარიში გამეფდა. მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებანი მამაკაცთა კუთვნილება შეიქნა. ქალის მემკვიდრეობითი უფლება შეკვეცილია: ეს მომავალის ინტერესია. ქალს სდევნიან საზოგადო და პოლიტიკურ ასპარეზიდან: მას არ შეუძლიან ვექილობა, მისი წყურვილი სწავლა-განათლებისკენ იზღუდება, მათ ერეკებიან სახელმწიფო სამსახურიდან. უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, მათ აყრილი აქვს პოლიტიკური უფლება—არ შეუძლიან ადგილობრივ თვითმართველობისა და პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, ის ვერ იკისრებს ხმოსნობას ან დეპუტატობას, მოკლედ, მას არ აქვს არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლება. მხოლოდ ავსტრალიის ზოგიერთ ახალშენებში, ამერიკის ზოგიერთ შტატებში და ფინლიანდიაში ქალებმა უკვე მოიპოვეს პოლიტიკური უფლება და მოქალაქეები შეიქნენ.
>
> ქალი დამონებულია, რომ მამაკაცმა იბატონოს, ქალი უფლება აყრილია, რომ მამაკაცებს მეტი უფლება და ძალა-გავლენა ჰქონდეს,—ქალი დაჩაგრულია, რომ მამაკაცმა იპარპაშოს.
>
> ასეთია თანამედროვე ცხოვრება, ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზე შენდება, ერთის უფლების სათავე მეორის უუფლებობაა, ერთის ბატონობის საფუძველი მრავალთა დაჩაგვრა და გაყვლეფაა“.

ქალთა სრული განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არსებითად გამოიცვლება ეხლანდელი საზოგადოებრივი წესწყობილება. მაგრამ დღევანდელ პირობებშიაც შეიძლება ქალის მდგომარეობის გაუმჯობესობა, დღესაც შეუძლია ქალს მოიპოვოს ზოგიერთი უფლება და გაუთანასწორდეს მამაკაცს. მოსპობა ყოველგვარ მოქალაქობრივ-პოლიტიკურ უპირატესობისა მამაკაცებისათვის და ქალების მამაკაცებთან გათანასწორება დემოკრატიულ საფუძველზე — აი ახლობელი მოთხოვნილებანი ქალებისა.

ქალთა განთავისუფლებისთვის თვით ქალების შეგნება და გამოფხიზლებაა საჭირო. ქალი ნახევრად უკვე თავისუფალია, რაკი შეიგნო თავისი მონობა და შეუდგა ბრძოლას განთავისუფლებისათვის. კერძოდ ქართველი ქალის შესახებ გაზეთი ამბობს:

> ჯერ ქართველი ქალი სავსებით მონობის ბრჭყალებშია. მაგრამ ახლა ის დღეა, როცა ის გარშემო მიმოიხედავს, ბნელ ძალებს შეებრძოლება და უკეთესი მომავალისაკენ გაექანება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ჭლექის საწინააღმდეგო მუზეუმი** „თეთრი ყვავილის“ ამბულატორიასთან (19 თებერვლის ქ., 47) 23 თებერვალს გაიხსნა მეფის მოადგილის მეუღლის გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, მეფის მოადგილის თანაშემწის მეუღლის ქ-ნ მიშლაევსკისა, ექიმთა და სხვა მიწვეულ პირთა თანადასწრებით. ეს მუზეუმი მედიცინის დოქტორმა ფ. ლ. ფეხნერმა შეაგროვა და საჩუქრად მიართვა ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას. „თეთრის ყვავილის“-ს ამბულატორიის ექიმმა რ. ს. დავითიანმა მოკლედ აღნიშნა მნიშვნელობა ჭლექის საწინააღმდეგო მუდმივ მუზეუმისა და შემდეგ დამსწრეთ გადასცა ცნობები ამბულატორიის მოქმედებისა 1913 წლის განმავლობაში. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, საანგარიშო წელს „თეთრის ყვავილის“ ამბულატორიაში საექიმო დახმარება აღმოუჩენიათ 134 კაცისთვის. დახარჯულა 4,884 მან. ამავ წლის განმავლობაში 88 ავადმყოფისთვის მიუციათ 52,000 ცალი კვერცხი და 94 კაცისთვის 32,600 ჭიქა რძე. საერთოდ კაცის თავზე მოდის 600 კვერცხი და 340 ჭიქა რძე. 28 ავადმყოფისთვის მიუციათ 250 ფუთი პური. 19 საშში ავადმყოფი ამბულატორიას კურორტებზე გაუგზავნია. ბ-ნმა ფეხნერმა დასასრულ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა.

◆ ქალაქის თვით-მმართველობაში ამ ჟამად **სამი თავისუფალი სტიპენდია** არის ტფ. მცხოვრებთა შვილებისათვის: ერთი შამხალოვის სახელობისა პეტერბურგის პოლიტექნიკუმში, ერთი—აბესალომოვის სახელობისა საშუალო სასწავლებელში კურს-დამთავრებულისათვის და ერთიც პეტერბურგის საქალებო სამედიცინო ინსტიტუტის იმ მოსწავლისათვის, რომელსაც დიდის მთავრის ოლგა თედორეს ასულის სახელობის გიმნაზია აქვს გათავებული.

◆ **საქალაქო არჩევნების დამტკიცება.** გუბერნატორმა ქალაქის მდივანი მ. ა. ჯაბარი გამგეობის წევრად დაამტკიცა თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევისა. აგრეთვე დაამტკიცა სატყეო-საბაღოსნო კომისიის წევრთა არჩევნები.

◆ **მაჰმადიან ქალებს** ქალაქის გამგეობამ სავალდებულო დადგენილებათა ძალით აღუკრძალა ფაბრიკებიდან სახლში წაღება კონფექტისა ქაღალდებში გასახვევად. ქალებმა გამგეობას გუბერნატორთან უჩივლეს. ამის გამო გუშინ გუბერნატორმა გამგეობას მოსთხოვა ცნობები და განმარტება ამ საჩივრისა.

◆ **ნამყენ ვაზის სანერგე.** მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტს განზრახვა აქვს, თელავის მახლობლად, ს. ვარდისუბანში 40 დესეტინის მანძილზე ნამყენ ვაზის სანერგე გააშენოს.

◆ **სავაჭრო-სამრეწველო კლუბის** 1913 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსი 15,322 მან. 68 კ. უდრის.

ეროვნება და ტერიტორია

(დასასრული*)

ეჭვი არ არის ტერიტორიალური ავტონომიის მოპოვება საქართველოს სავსებით ვერ გასწმენდს უცხო ელემენტებისაგან. საქართველოში დარჩებიან უცხოელები, რომელნიც მასთან ეკონომიურად და მორალური კავშირით არიან შეერთებულნი. მაგრამ მათი დარჩენა არც მათთვის, არც ჩვენთვის საშიში არ იქმნება.

რამოდენიმე ერის მოქცევა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ყოველთვის არ იწვევს შუღლსა და ურთიერთ ჩაგვრას. პირიქით, ხშირად ჰხდება ხოლმე, რომ ერთ და იმავე პოლიტიკურს ორგანიზმში მოქცეული ერები ერთი მეორეს ეჯიბრებიან კულტურულ შემოქმედების სფეროში. გახსხვავება და წინააღმდეგობა მათ შორის რჩება, მაგრამ ის იწვევს არა ომსა და მძულვარებას, არამედ მშვიდობიან და კეთილისმყოფელ კონკურენციას. ამგვარად ერთა ახლობელი მეზობლობა ძლიერ მორალურ ფაქტორად ჰხდება. ამის მაგალითი რამოდენიმეა თანამედროვე ევროპაში და ამერიკაში. შვეიცარიის ფედერაციაში ოთხი სხვა და სხვა ეროვნება შედის. მცხოვრებთა ორს მესამედს გერმანელები შეადგენენ, ერთს მესამედს ფრანგები, იტალიელები და რეტორომანელები. ისინი შერეულად სცხოვრობენ ზოგიერთ კანტონებშიაც. არც ერთი ამ ერთაგანი კულტურულად პასიური არაა. ჭეშმარიტებას მოკლებულია ის შეხედულება, თითქო „ფრანგულ ნაციონალურ კულტურას ჰქმნიდეს არა შვეიცარიის ფრანგები, არა ჟენევისა და ლოზანის კანტონები, არამედ საფრანგეთი, რითაც ეს კანტონები სარგებლობენ“. ფრანგული და გერმანული კულტურის შექმნაში შვეიცარიელებიც ისეთივე აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც დანარჩენნი ფრანგები და გერმანელები. საკმაოა გავიხსენოთ რუსოს, პესტალოცის, ჰალერის, კელერის, კ. ფ. მაიერის, ბოეკლინის, ჰოდლერის, როდის და სხ. სახელები, რომელნიც შვეიცარიელნი იყვნენ, თავიანთ შემოქმედებით კი ფრანგული და გერმანული კულტურა გაამდიდრეს. საკმაოა გავიხსენოთ, რომ შვეიცარიელმა ფრანგებმა და გერმანელებმა შეჰქმნეს სანიმუშო სახალხო სკოლა და სახალხო მილიცია, რომ ისინი იბრძვიან უდიდესი ზნეობრივი იდეალის, საერთაშორისო მშვიდობიანობისთვის. თუ ციურიხელები და ლოზანელები სარგებლობენ გერმანიის და საფრანგეთის კულტურით, გერმანიაც და საფრანგეთიც ბევრს სესხულობს ციურიხის და ლოზანის პაწია კანტონებისგან.

შვეიცარიაში ეროვნული აქტიობა და ეროვნული სხვადასხვაობა ძლიერია, მაგრამ ეს გარემოება იქ ჰქმნის არა განხეთქილებას და კაციჭამიობას, არამედ კეთილშობილ შეჯიბრებას. სამივე დიდი კულტურული ენა სწორუფლებიანია შვეიცარიაში. კიდევ მეტი: შვეიცარიელები ყოველს ზომას ჰხმარობენ, რომ არ მოისპოს რეტორომანული დიალექტები, რომელთაც პაწაწკინტელა ეროვნება ხმარობს გრიზონის კანტონში. თუ ფრანგული ენა ალაგ-ალაგ პოზიციებს ართმევს გერმანულს, ეს პირველის კულტურული უპირატესობით აიხსნება და არა ფრანგების ძალმომრეობით.

თანამედროვე ბელგიაში ორი ერი მოსახლეობს: ვალონები და ფლამანდიელები. ფსიხოლოგიური და კულტურული განსხვავება მათ შორის თვალსაჩინოა. პირველნი ჰხმარობენ ფრანგულ ენას, მეორენი ფლამანდიურს, რომელიც ახლო ნათესავია ჰოლანდიურისა. პირველნი უფრო მოძრავნი და თავისუფლად მოაზრენი არიან. მეორენი უფრო მძიმე, ტლანქნი, კათოლიკური ვნებიანი მისტიციზმით გამსჭვალულნი. პირველნი უფრო თანამედროვე კულტურით არიან ძლიერნი, მეორენი კულტურული ტრადიციით. პირველთა სული, უფრო ინდუსტრიალური და კოლექტივისტური, ყველაზედ აშკარად და ხელშესახებად კ. მენიეს ქანდაკებამ გამოჰხატა, მეორეთა გრძნეულება და ხორცის კულტი კი სნიდერსმა, იორდენსმა, რუბენსმა და ვანდაიკმა.

ამ ორი ერის თანამშრომლობამ პაწია ბელგიისაგან უმდიდრესი ქვეყანა შექმნა. მათი ენები ერთნაირი პატივით არის მიღებული როგორც სკოლებსა, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. თუ მიუხედავად ამისა გამორჩენილი ფლამანდიელნი მწერლები: მეტერლინკი, როდენბახი, ვერჰაერნი და სხვები უმეტეს შემთხვევაში ფრანგულ ენაზე სწერენ, ეს აქაც ამ ენის კულტურული უპირატესობით აიხსნება და არა ვალონების ძალმომრეობით.

რითი აიხსნება, რომ შვეიცარიისა და ბელგიის ერები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან ავსტრიისა და რუსეთის ერები კი შურით და მძულვარებით? რით აიხსნება, რომ ეროვნული წინააღმდეგობანი იქ ნაყოფიერ შეჯიბრებას იწვევენ, აქ კი ჩაგვრას და განხეთქილებას?

შვეიცარიელები და ბელგიელები უფრო კულტუროსანნი არიან, უფრო დაშორებულნი იმ ხანას, როცა ადამიანის სხეული ადამიანისთვის გემრიელ ლუკმას წარმოადგენდა. ამას გარდა, თანამედროვე დემოკრატიის იდეალთან ისინი უფრო ახლო სდგანან, ვიდრე რუსეთის ან ავსტრიის ერები. არა მარტო სახელმწიფო წესწყობილებით, არამედ კიდევ უფრო რწმენით და შეგნებით. ეს მათი უპირატესობაა, რასაკვირველია. მაგრამ ბელგიასა და შვეიცარიას აქვს სხვა უპირატესობაც, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. და ეს უპირატესობა მათი საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

როგორც ბელგია ისე შვეიცარია პატარა ნეიტრალური სახელმწიფოა. ავსტრია და რუსეთი კი დიდს სახელმწიფო კონცერტს ეკუთვნიან. პირველთ არ ძალუძთ ფართე ინტერნაციონალური პოლიტიკის წარმოება და ეროვნულ თავმოყვარეობას კულტურული შემოქმედებით იკმაყოფილებენ, უკანასკნელნი კი თავმოყვარეობის უღრეს ასპარეზს იმპერიალისტური პოლიტიკის სფეროში ჰხედავენ. ამ პოლიტიკისთვის კი დიდი და ერთფეროვანი მილიტარული ძალის კონცენტრაციაა საჭირო. რაც უფრო მრავალრიცხოვანია სახელმწიფო, რაც უფრო ერთგვარი და ჰომოგენურია მისი შემადგენლობა, მით უფრო ძლიერი ჯარის და ფლოტის ამოძრავება შეუძლიან მას, მით უფრო მძიმედ აწევს მისი გავლენა საერთაშორისო ცხოვრების ურთიერთობას. მრავალრიცხოვანი და უპიროვნო ჯარის შესაქმნელად კი, ეროვნულ განსხვავებათა ჩაჩქმალვა, ეროვნულ სახეთა გაქრობაა საჭირო. ამიტომაა, რომ რუ-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 1120.

კლუბს საანგარიშო წლის წმინდა მოგება ჰქონია 4,367 მან. 12 კ.

◆ **წყლის გაყვანა.** ამ დღეებში გუბერნატორის განკარგულებით სოფელ შაშიანში (სიღნაღის მაზრა) მიემგზავრება საგუბერნიო სამმართველოს ინჟენერი, რომელიც იქაურ მცხოვრებს დახმარებას აღმოუჩენს წყლის გამოყვანის საქმეში.

◆ **ქალაქის მდივნის** არჩევა დანიშნულია მომავალ ორშაბათისთვის.

◆ **სათეატრო ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო ანა იმედაშვილს, გამოსცეს ტფილისში ქართულ ენაზე კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო და სათეატრო ჟურნალი, სახელად „თეატრი და ცხოვრება“.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტისა და უმაღლეს კურსების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას, გამართოს ტფილისში 2 მარტს საქველმოქმედო საღამო ლატარიით.

◆ **სულით ავადმყოფთა** რიცხვი მიხეილის საავადმყოფოში ერთობ გადიდდა. სულით ავადმყოფთა განყოფილება დანიშნულია 95 ავადმყოფისთვის, ამ ჟამად კი იქ 136 კაცია.

◆ ქალაქის გამგეობას ნება დართოს, 1 მარტიდან საგერბო ქაღალდები და მარკები გაყიდოს თვის კასაში. გამგეობა შუამდგომლობს, საფოსტო მარკების დაყიდვის ნებაც დართონ.

◆ **ა. ი. ქიშმიშევი.** გუშინ ბაქოდან ტფილისს მოასვენეს „ტიფლ. ლისტ.“-ის რედაქტორის ა. ი. ქიშმიშევის ცხედარი და ნორაშენის ეკლესიაში დაასვენეს. დასაფლავება მომავალ კვირისთვის არის დანიშნული.

◆ **გუბერნატორი და ქალაქის საბჭო.** ამას წინად ქალაქის საბჭომ დაადგინა, მოუმატოს ჯამაგირები ქალაქის მოურავის მოადგილეს თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, და გამგეობის წევრებს გ. დ. ჟურულს და თ-დ ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, რომელიც მაშინ სასაკლაოს დირექტორად არ იყო დანიშნული. გუშინ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ის ამ დადგენილებას არ ამტკიცებს საქალაქო დებულების მე-123 მუხლის ძალით, რომელიც საბჭოს უფლებას არ აძლევს, ჯამაგირი შეუცვალოს უკვე არჩეულ წევრს გამგეობისას.

◆ დღეს, 25 თებერვალს, ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი ს. გ. **იაბლონოვსკი** არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში წაიკითხავს ლექციას „ცხოვრებიდან მიმავალნი“ (თვითმკვლელობის საკითხზე). ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი საზოგადოების მონაწილეობით და ამას გარდა ყველა დამსწრეებს უფლება ეძლევა მისცეს ლექტორს წერილობითი კითხვები, რომლებზედაც ლექტორისაგან მიიღებენ შესაფერ პასუხს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ პარასკევს, 28 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო დარბაზში (პუშკინის ბიბლიოთეკის მაღლა სართულში, ალექსანდრეს ბაღის გვერდით) ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზე ი. **მჭედლიშვილი** წაიკითხავს თავის ახალ პოემას: „**სული ობოლი**“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. მსურველთ შეუძლიათ ბილეთები მიიღონ „სახალხო გაზეთის“ კანტორაში.

◆ ქალაქის ღარიბთა თავშესაფარის სახლის გამგე კომისიის კრება 28 თებერვლისთვის არის დანიშნული.

◆ **ახალი კლუბის** წევრთა წლიური კრება 22 თებერვალს დაიწყო. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ექიმი გ. დ. გაბაშვილი, ხოლო მდივნად ვ. ბ. ელიავა. პირველ სამი კრება კლუბის 1913 წლის ანგარიშისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვას მოუნდა. კრების გაგრძელება გუშინდლისთვის იყო დანიშნული, საღამოს 9 საათზე.

◆ **ქ. შ. წ. კ. თხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის მორიგი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

სასწავლებლებში

◆ **ტფ. საბაღოსნო სკოლის** გამგეობამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ამ სკოლის 1913 წლის ანგარიში და სთხოვს, მისცეს მას ქალაქისგან აღთქმული ფული.

სომხეთა ცხოვრება

◆ **სომხური ენა განჯის სასწავლებლებში.** გაზეთ „ჰორიზონის“ სიტყვით, განჯის გიმნაზიაში, სადაც 318 სომეხი სწავლობს (სულ 648 მოწაფეებიდე) და წმ. ნინოს სასწავლებელში, სადაც 435 მოწაფიდან 250 სომეხია, სომხური ენის სწავლება მეტად ცუდადაა დაყენებული. სომხურს ამ სასწავლებელში დათმობილი აქვს კვირაში სულ 10 გაკვეთილი; გიმნაზიაში სომხურის მასწავლებელი იღებს ჯამაგირს 300 მანეთს, ხოლო წმ. ნინოს სასწავლებელში 240 მან... ეხლა ამის გამო 230 მშობელს თხოვნა გამოუგზავნიათ ტფილისის ეპარქიის უფროსისათვის, რომ როგორმე უკეთ მოეწყოს სომხურის სწავლება.

◆ **სომხის მწერალთა საზოგადოება**ში. 27 თებერვალს გაიმართება საღამო გარდაცვალებულის მ. ხატისიანის პატივსაცემად. სხვათა შორის, წაკითხული იქნება რეფერატი ამ სათაურით: „სომხის ქალის მნიშვნელობა სომხურ მწერლობაში“.

◆ **ოსმალეთის სომხები.** ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ გადასწყვიტა 16 ადგილი დაუთმოს სომხებს პარლამენტში. სომხები უკვე იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

◆ ერზრუმში გაიმართა პირველი სომხური სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.

სასამართლო

◆ ბრწყინვალე თავად მინგრელსკის ვექილის მოკვლის საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია ზუგდიდში. გიორგი ქანტურიას მიუსაჯა გამასწორებელი რაზმი 20 თვით, ალშიბაიას და ნაჭყებიას 15 წლის კატორღა მანიფესტის შეღავათით. მაზრის წინამძღოლად ნამყოფი ალშიბაია და ნაფიცვექილის თანაშემწე ივანე ჯაფარიძე სასამართლომ გაამართლა.

თელავი

◆ 18 თებერვლიდან დაიწყო კახელ მევენახეთა ამხანაგობის „**კახეთის**“ წევრთა კრება. თავმჯდომარედ ამოირჩიეს თავ. ალ. რ. ვახვახიშვილი, მდივნათ—თ. ავალიშვილი. კრება მრავალ რიცხოვანია. როგორც სჩანს 5 დღეს გაგრძელდება.

კავკასი.

◆ 21 თებერვალს სადგურ ნაზრანზე ვაგონიდან გამოსვლის დროს მოჰკლეს საგზაო ნაწილის უფროსი გოლიცინსკი. მკვლელი მიიმალა. იტყობინებიან, რომ გოლიცინსკი მოჰკლეს ქისტებმა.

შავი-ქვის წარმოება

გამოვიდა მეორე ნომერი შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს უწყებისა. უწყებაში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი; საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ზოგიერთები ჩვენს მკითხველებს.

შავი-ქვა გაუტანიათ ჭიათურის რკ. გზით

1911 წ.—39.291.150 ფუთი.
1912 წ.—59.368.460 „
1913 წ.—69.076.367 „

შავი ქვა გაუტანიათ სამხრ. რუსეთსა და უცხოეთში ფოთისა და ბათუმ. ნავთსადგურებიდან

1911 წ. 37.510.747 ფუთი.
1912 წ. 55.834.409 „
1913 წ. 65.827.266 „

1913 წლის განმავლობაში

ბათუმიდან გაუტანიათ 26.781.000 ფ. და ფოთიდან 39.046.266 ფ.

საგულისხმიეროა, რომ ბათუმიდან თანდათან მეტი გააქვთ, თუმცა ბათუმის გზა უფრო გრძელია ფოთისაზე. ეს აიხსნება იმით, რომ შავი ქვის მწარმოებლებს ფოთში იხდიან საპორტო და სხვა გადასახადს ყოველ ფუთზე 0,53 კაპ., რასაც არ იხდიან ბათუმში.

1913 წ. ჭიათურის ქვა გაუტანიათ:

გერმანიას . .	25.173.419	ფუთი.
ინგლისს . .	15.091.103	„
ბელგიას . .	11.163.109	„
ამერ. შეერ. შ.	8.409.109	„
საფრანგეთს .	3.367.972	„
სამხრ. რუს. .	617.500.	„

და სხვ.

ამავე წელს ინდოეთის მარგანეცი მოუტანიათ:

ინგლისს . .	16.688.230	ფუთი.
ბელგიას . .	12.396.652	„
საფრანგეთს .	7.681.614	„
ამერ. შეერ. შტ.	6.638 774	„

და სხვ.

საერთოდ ინდოეთიდან გამოუტანიათ 47.886.692 ფუთი.

მდგომარე წლის მარგანეცის ფასი იყო 17 იანვრამდე.

ინდოეთის და ბრაზილიის.
I ხარისხის—10—$10^1/_4$ პენსი.
II ხარ.—9 ნახ.—$9^3/_4$ პენ.

ჭიათურის:
I ხარისხის—$8^3/_4$—9 პენსი.
II ხარ.— 8 ნახ.—$8^3/_4$ პენსი.

17 იანვრის შემდეგ

ინდოეთ. და ბრაზილ.	**ჭიათურის.**
I) —$9^3/_4$—10	I) —$8^1/_2$—$8^3/_4$
II) —$9^1/_4$—$9^1/_2$	II) —$8^1/_4$—$8^1/_2$

ევროპიულის გაზეთების სიტყვით, ბოლოს დროს მარგანეცი აღმოჩენილა ბულგარიასა და სინას ნახევარ კუნძულზე. მაგრამ პირველი მდარე ღირსებისაა, მეორე კარგია და თუ მისი გადმოტანა მოეწყო, იგი კონკურენციას გაუწევს ინდოეთის მარგანეცს და არა ჭიათურას.

დასასრულ მოვიყვანთ ცნობებს, თუ **რომელს ფირმას რამდენი ვაგონი მარგანეცი** გაუტანია გასული წლის დეკემბრის თვეში ჭიათურისა და ქიქოურის სადგურებიდან:

გელზენკირხენის საზოგადოებას . .	784
ი გილერტს . .	140
კავკაზ. საზოგად. .	740
კირიაზიდის და ამხ.	120
გ. კორნაროს . .	378
მანუილიდისს . .	570
მონოლოპულოს . .	44
ძმ. ოგანეზოვებს . .	124
ლ. პანასიეს . . .	464
რუსეთ-აზიის ბანკს	898
ტაბურიოს . . .	520
ფორეუდს და ამხ. .	1061
ჩილინგარიანს . .	1057
შუტც და ციმერმანს	202.

ქართული საღამო თელავში

თელავში ბევრი გასართობი საღამოები იმართება, მაგრამ არც ერთ მათგანს ისეთი ელფერი არა აქვს, როგორც წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილების მიერ გამართულ საღამოს. თუმცა აფიშებში მეჯლიშ-მასკარადად არის ხოლმე წოდებული, მაგრამ სიმართლე მოითხოვს ქართული საღამო დაერქვას, ვინაიდან ქართულ სკოლის სასარგებლოდ, თითქმის სულ ქართველი საზოგადოება იღებს მონაწილეობას მცირეოდენი გამონაკლისით.

ჩვეულებრივ წელსაც ყველიერის პარასკევს გაიმართა ასეთი საღამო, რომელიც უფრო პატარა დღესასწაულს წააგავდა. დილიდანვე დიდი მზადება, ოთახების მორთვა-მოწყობა, გრეხილების გაკეთება, ვახშმისთვის მზადება, ყველა ფუსფუსებს, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ყველას უნდა ხელი წაახმაროს კეთილ საქმეს და საგანგებოდ დაეხვედოს სტუმრებს. მართლაც, საღამომდის ყველა მოემზადებინათ და გაბრწყინვალებული დარბაზი კარგ სანახაობას წარმოადგენდა.

შესასვლელ კარებიდანვე იწყობოდა გრეხილები, თვით დარბაზის ჭერი მორთული იყო მწვანით, ხოლო კედლები ხალიჩებით, სცენა წარმოადგენდა უწინდელ გემოვნებაზე მორთულ ოთახს, რომლის სიღრმეში მოსჩანდა თამარ დედოფლის სურათი, დანარჩენ კედლებს ამშვენებდნენ დაფნის გვირგვინით შემკული ქართველ მწერალთა სურათები, ხოლო დარბაზის შუა კედლის თავზე ბზის ფოთლებისგან წაეწერათ უკვდავ შოთას სიტყვები: „ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“.

ამ საღამოს დიასახლისობა იკისრეს მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლის მეუღლემ კნ. ეკვ. ზ. ჭავჭავაძისამ და გამგეობის წევრთ კნ. თ. ა. აბაშიძეს და კნ. ა. ნ. ჭავჭავაძისას. ამათი მეთაურობა, სამზადისი და საღამოს მიზანი, ყველა იმის თავდები იყო, რომ საღამოს კარგად უნდა ჩაევლო.

მართლაც, მიუხედავად ავდრისა დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა, უმრავლესობა კახეთის სოფლებიდან მოსულიყვნენ. ამიტომაც საღამოზე ლეჩაქ-ჩოხები სჭარბობდა პრიჩოსკა-სერთუკებს. მალე დაიწყო საერთო მხიარულობა. სამხედრო მუსიკას საზანდარი სცვლიდა, ლეკურ-კინტოურს—ევროპიული ცეკვა, აქ ხილეულობის მაგიდას შემოჰხვევოდა ხალხი, იქ ფოსტის საშუალებით მიწერ-მოწერა გამართათ და სხვა.

შემდეგ გაიშალა გრძელი სუფრა, რომელსაც ორასამდე ქალ-კაცი შემოუსხდა და დაიწყო დროს გატარება. წარმოითქვა მრავალი საზოგადოებრივი სადღეგრძელო და სიტყვა. ვახშამმა დილამდე გასტანა და უკვე 8 საათი იყო, როცა საზოგადოება ნელ-ნელა სტოვებდა მხიარულ დარბაზს იმ შთაბეჭდილებით, რომ ყველა შეგნებული ქართველი მოვალეა ამ დღეს უკუ აგდოს ყოველ დღიური ჭირ-ვარამი და საღამოზე დასწრებით დროს გატარების გარდა თავის წვლილით ხელი შეუწყოს უღარიბეს ბავშვთა სწავლას.

რასაკვირველია, კარგი იყო საღამო შინაარსის მხრივ სხვანაირად მოწყობილიყო, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ ძალთა განწყობილებას და ტფილისის დაშორება—უგზოობას, დიდს ხარჯს გამოიწვევდა და მოუხერხებელიც იყო. წმინდა შემოსავალი ხუთას მანეთამდე იქნება.

დავიწყებული.

უცხოეთი

რუსეთი და გერმანია.

„კელნიშე ცაიტუნგის“ წერილმა რუსეთის საომარი მზადების შესახებ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჯერ-ჯერობით რუსეთი უძლურია განახორციელოს თავისი აგრესიული მისწრაფებანი. პირდაპირი საშიშროება რუსეთთან ომისა ჯერ არ გველის, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი სიხარულით აღრიალებს რუსეთის იარაღს. სამი-ოთხი წლის შემდეგ კი რუსეთის ჯარის პოლიტიკური მნიშვნელობა სულ სხვა იქნება. რუსეთის ფინანსებისა და კრედიტის გამობრუნებამ, საფრანგეთის მხარის დაჭერამ, შექმნა რუსეთში პოლიტიკური კურსი, რომელიც თავს იჩენს 1917 წ.

ბერლინი. ამ კამპანიის გამო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდები ძლიერ დაეცა.

ბერლინი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ის აურზაურის გამომწვევი წერილი სადღეისო საჭირ-ბოროტო საკითხად იქცა.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ აჩქარებით უარჰყო რაიმე მონაწილეობა თავისავე ოფიციოზის გამოსვლაში და განაცხადა, რომ გერმანიის დიპლომატია „კელნიშე ცაიტუნგის“ პესიმიზმს არ იზიარებს და ამ გაზეთში გამოთქმული აზრთან საერთო არა აქვს-რაო.

გერმანიის რეიხსტაგის ოპოზიციის აზრით, წერილი იმ მიზნით იყო დაბეჭდილი, რომ მთავრობას ახალ შეიარაღების კანონ-პროექტის გაყვანა გაუადვილონ.

საერთაშორისო კანონების საუკეთესო მცოდნეთა აზრით, თუ რუსეთ-გერმანიის ომი ასტყდა, გერმანიის მთავრობას უფლება აქვს, თავის საკუთრებად ჩასთვალოს რუსეთის სახელმწიფოს ნაღდი ფული, რომელსაც რუსეთის ფინანსთა სამინისტროს გერმანულ ბანკებში აქვს შენახული. ეს შესაძლოა იმის მიხედვით, რომ საკითხი სახელმწიფო ფონდების დაბრუნებისა გადაუწყვეტელი და საერთაშორისო კანონებით დადასტურებული არ არის.

ბულგარეთი. მთავრობა ირწმუნება, რომ ყოველი ღონისძიებაა მიღებული, რათა თავიდან ავიცილოთ შეტაკებანი და არჩევნების თავისუფლება უზრუნველყოფილი იყოს. მაგრამ ოპოზიციონური პარტიებს არა სჯერათ ასეთი განცხადება და განზრახვა აქვთ არჩევნების დროს „საერთო ოპოზიციის საარჩევნო დარაჯები“ იყოლიონ.

პრაგა. „ეროვნულ სოციალისტთა“ პარტიის თავმჯდომარე შვიგა გაზეთ „ნაროდნი ლისტ“-ში ჩეხების აზეფად არის გამოცხადებული.

შვიგა ოთხი წლის განმავლობაში ავსტრიის მთავრობის აგენტი ყოფილა. თვეში თურმე 800 კრონს იღებდა.

სეთსა, ავსტრიასა, გერმანიასა და ოსმალეთში პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილი ერები უფლებაყრილ ერების გათქვეფას და შესრუტვას სცდილობენ. და როცა ეს უკანასკნელნი ამ დენაციონალიზაციის პროცესს გაწიწმატებულ წინააღმდეგობას უწევენ, ნაციონალური სიძულვილი და გაუტანლობა თავის თავად იბადება.

მილიტარული და იმპერიალისტური თვალთსაზრისით გაბატონებული ერები ცამდის მართალნი არიან, რასაკვირველია. თუ რუსეთის ან ავსტრიის ჯარში ყოველმა ეროვნებამ თავისი დივიზიის შედგენა და თავისი ენის ხმარება მოინდომა, ეს ჯარი ბაბილონის გოდოლად გადაიქცევა და ერთსულოვან და ერთფეროვან მტრის პირველ შეტაკებისთანავე დაინგრევა, როგორც დაინგრა ოსმალეთის ჭრელი ჯარი, როცა ბულგარელთა ნაციონალურს სამხედრო ძალას შეეტაკა.

მაგრამ კულტურული და ჰუმანიურ თვალსაზრისით, პირ-იქით, დაჩაგრული ერებია მართალი. მიტომ რომ, უეჭველია, თუ ძალ-მომრეობის შემწეობით პატარა ერთა ნაციონალური სახეები გადაილესა, მით კაცობრიობის კულტურა მრავალფეროვნებას დაჰკარგავს, ხოლო პროგრესი თავის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

რადგან ჩვენი სამშობლო თავისი სივრცითა და საერთაშორისო მდგომარეობით უფრო ბელგიასა და შვეიცარიასა ჰგავს, ვიდრე რუსეთსა და ავსტრიას, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავტონომიურითვე თავისუფალი საქართველოს პოლიტიკა ოდესმე იმპერიალისტურ და მიმართულებას მიიღებს. ჩვენი მომავალი სძევს არა მილიტარიზმსა და ოქროში, არამედ თავისუფალ კულტურულ შემოქმედებაში. ამიტომ ყოველს საფუძველს მოკლებულია ის აზრი, რომ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია „ბატონობის იარაღი იქნება და არა თანასწორობის“, რომ „აქ ქართველი გაბატონებული კლასები ჩაიდენენ იმასვე, რასაც სჩადიან გალიციის პოლონელთა გაბატონებული კლასები. დევნა და შევიწროება სომხების, ებრაელების, თათრების, ოსების, ლეკების, ყველა „ინოროდცების“—აი რა შეიქნება ავტონომიური მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკად“.

თუ ქართველები ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს სამშობლოში მეტი სამართლიანობა დამყარდება, ვიდრე ეს დღეს გალიციაშია, ამის საბუთს, როგორც ვსთქვი, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა გვაძლევს. აღარას ვამბობ ჩვენს ტრადიციულს პატივისცემაზე უცხოტომელებისადმი. გალიციის მაგალითი, ზევით მოყვანილი მოსაზრების გარეშე, კიდევ იმიტომ არის უადგილო, რომ იქაური პოლონელების პოლიტიკა წარმოადგენს რევანშს რუსებისადმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველების უდიდესი ნაწილი ავტონომიური ერთეულის გარეშე არ მოჰყვება პოლონელებივით და მათსავით სხვის საჯიჯგნად არ დარჩება. არც პოლონეთში ექმნებოდა ადგილი ასეთ გამწვავებულ ეროვნულ ბრძოლას, ის რომ ხელოვნურად არ შეექმნა რუსეთის და ავსტრიის პოლიტიკას.

მოსალოდნელია, რომ აბსოლუტურ სამართლიანობას და მშვიდობიანობას ვერც ჩვენ მივაღწევთ. მაგრამ განა სხვებმა კი უკვე მიაღწიეს მათ? მუდმივი მშვიდობიანობა ჰესპერიდების ბაღია, რომელიც ყველას ეზმახება, მაგრამ ჯერ არავის უნახავს. უფლება არავის აქვს ქართველებს მოგვთხოვოს, რომ ამ ბაღში სხვებზე ადრე ჩვენ შევიდეთ და მისი ოქროს ვაშლები დავკრიფოთ.

⁂

ჩვენში ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ეწინააღმდეგებიან, არა მარტო ინტერნაციონალური, არამედ ეკონომიური სამართლიანობის თვალთ აზრისითაც. ტერიტორიალური პრინციპი გაბატონებულ კლასების პრინციპია, საქართველოს ავტონომიით „აიგებს“ და „გასუქდება“ კაპიტალისტი, მემამულე და სამღვდელოება, ხოლო „წააგებს“ და „დაძაბუნდება“ პროლეტარიატი და გლეხკაცობაო. ამ [illegible] სოციალური ბუხჰალტერიის საილუსტრაციოდ საკმაოა შევადაროთ შემდეგი სამი ერის დღევანდელი მდგომარეობა: ფინლანდიელების, ქართველების და სომხების. პირველთ ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია აქვთ, მეორეთ ტერიტორია აქვთ, ხოლო ავტონომია კი არა, მესამეთ არც ავტონომია აქვთ და არც ფართე ტერიტორია. მათ შორის ეკონომიური სამართლიანობის იდეალთან ყველაზე ახლო ფინლანდიელნი სდგანან, ხოლო ყველაზე შორს სომხები: ამ უკანასკნელთა კაპიტალისტები და მღვდლები მეტისმეტად „მსუქნად“ ბრძანდებიან, ხოლო მუშები და გლეხები დიდს „სიმჭლევეს“ განიცდიან: არა მარტო ხორციელ, არამედ სულიერ სიმჭლევესაც. სჩანს ტერიტორიალური პრინციპი არც ისე მჭიდროთაა გადაბმული ჩაგვრასა და უსამართლობასთან.

მაგრამ მდგომარეობა გამოიცვლება, როცა ქართველები და სომხები კულტურულ ავტონომიას მიაღწევენ, გვარწმუნებენ ჩვენი ექსტერიტორიალისტები. წინასწარმეტყველობა ძნელი ხელობაა საზოგადოდ მით უმეტეს ძნელია ის, როცა ისეთ რამეს ეხება, რაც თავის თვალებით არავის უნახავს და გონებით არავის გაუჭვრეტია. კულტურული ავტონომია კი სწორედ ასეთი თვალთუხილავი და გონებით განუჭვრეტელი მოვლინებაა. სასოწარკვეთილებამდის ჩავარდნილი ავსტრიელების [illegible] და კალმით ნაშობი, ჩვენი კოსმოპოლიტისტების მიერ შვილობილად აყვანილი, ის, ეჭვი არ არის, ჩქარა გაიზიარებს ყოველი უდღიური არსების ბედს: უდროოდ გარდაცვალებას [illegible]. არა მგონია, რომ ამის გამო ვინმემ შავი ძაძები ჩაიცვას. მიტომ რომ არც მისი არსებისა, არც მისი თვისებებისა არავინ არაფერი იცის.

ერთი ქართველი პუბლიცისტი სრულიად შეუშფოთებლად გვარწმუნებს, რომ კულტურული ავტონომიის მიზანი „იზრუნოს ნაციის კულტურულ მოთხოვნილებებზე, ააგოს მისთვის სკოლები, გახსნას ბიბლიოთეკები, თეატრები, სახალხო უნივერსიტეტები, მიაწოდოს თანამემამულეთ იურიდიული დახმარება, სადაც ეს საჭიროა“. ეს მიზნები კულტურული ავტონომიის ფრიად კეთილშობილია, ეჭვი არ არის: საქმე მხოლოდ ის არი, რომ მათ განსახორციელებლად არავითარი „ავტონომიები“ არ არის საჭირო. ბიბლიოთეკების, მუზეუმების და იურიდიული საზოგადოებების გახსნის და გამართვის ნებას დღევანდელი ცენტრალური და ბიუროკრატიული მთავრობაც კი იძლევა.

სკოლა კი ცხოვრებისათვის მოსამზადებელი დაწესებულებაა. ამიტომ დამოუკიდებელ ეროვნულ სკოლას მხოლოდ მაშინ აქვს რეალური მნიშვნელობა, როცა მთელი ეროვნული ცხოვრებაა თავისუფალი და დამოუკიდებელი. რა მნიშვნელობა ექმნება ქართულს ენაზე სწავლებას, თუ ჩვენი სამშობლოს ტერიტორია უცხოელებით აჭრელდება, ხოლო ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება სავსებით რუსეთზე იქმნება დამოკიდებული. თუ საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოები სხვის ხელში იქნება, ქართული ენის ხალხი შორს ვერ წავა და მიტომ ეროვნულს სკოლას ყოველთვის სახელმწიფო სკოლას ამჯობინებს. ხოლო თუ სკოლა იმად დარჩება, რაც დღეს არის, თუ ის არსებითად რუსული კულტურის გამამტკიცებელ ორგანო იქნება, მაშინ მის ასაგებად და გასაძღოლად არც ავტონომიაა საჭირო. ასეთ სკოლას უავტონომიოდაც ბევრი მზრუნველი ჰყავს.

მეტის-მეტად წარმტაცია კულტურული ავტონომიის იდილია, ჩვენი ექსტერიტორიალისტები რომ გვიხატავენ ცოცხალი ფერადებით. „ნაციის კულტურულ დაწესებულებას რომ ხულიგანები შემოადგნენ დასანგრევად, მოდის ამ ტერიტორიის პოლიცია და იცავს მას, ხოლო სასამართლო სჯის დამნაშავეთ და ასე ნაციის კულტურული მუშაობა გრძელდება.“ ხულიგნები რომ რაიმე ეროვნულ კულტურულ დაწესებულებას შემოდგომოდნენ დასანგრევად ეს იშვიათია, პოლიცია და სასამართლო კი ბევრს შემოდგომია და დაუნგრევია კიდეც. განსაკუთრებით ისეთი პოლიცია და სასამართლო, რომელიც გამოთიშულია ეროვნული ურთიერთობისაგან და გაბატონებულ პოლიტიკურს ორგანიზაციას ემსახურება. ჩვენი ექსტერიტორიალისტების მომავალი პოლიცია და სასამართლოც ხომ არა ეროვნული იქნება.

ქართველი კოსმოპოლიტების აზროთა მიმდინარეობაში ყველაზედ საინტერესო ის სოციოლოგიური კონცეპციაა, მათ ეროვნულ პროგრამას რომ უძევს საფუძვლად. ამ სოციოლოგიის მიხედვით ეროვნება თავისუფალი, პერსონალური კავშირია. „ნაციის აღიარება, როგორც პიროვნული ანუ პერსონალური კავშირის, ნიშნავს ნაციონალურ კითხვაში ტერიტორიალური პრინციპის უარის ყოფას და პერსონალურის აღიარებას“. თანამედროვე ადამიანზე ეს ფრაზა, უეჭველია, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორსაც მოახდენს ძალზე მამონტი, დიპლოდოკური ან წარღვნის დროის სხვა ცხოველი, ქალაქის მოედანზე ან პროსპექტზე რომ დაინახოს.

სოციალური ატომიზმი და „საზოგადოებრივი შეთანხმების“ იდეა კარგა ხანია უარყოფილია თანამედროვე მეცნიერების მიერ. ჩვენი კოსმოპოლიტები, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ას ორმოცდა ათი წლით ჩამორჩენიან ამ მეცნიერებას და მეოცე საუკუნის დასაწყისში იმასვე იმეორებენ, რაც მეთვრამეტე საუკუნეში რუსომ ბევრად უფრო ღრმად გამოსთქვა.

ბლიუნჩლიმ და ბრიუნეტიერმა სამართლიანად სთქვეს, რომ ეროვნება არ არის არც ცხოველთა მფარველი არც ურთიერთშორის დამზღვევი საზოგადოება. ის წარმოადგენს ორგანიულ ერთეულს და არა ცალკე პიროვნებათა თავისუფალს კავშირს. მისი არსებობა ორგანიულად არის დაკავშირებული ტერიტორიასთან. მისი ენა და შემოქმედება შედეგია სოციალური შეგნებისა, რომელსაც ინდივიდუალურ შეგნებათა ურთიერთს შორის გამსჭვალვა ჰქმნის. ხოლო მისი ენერგია, მისი ნებისყოფა აღემატება მის შემადგენელ პიროვნებათა ენერგიის და ნების ყოფის ჯამს.

მაგრამ ამ ჭეშმარიტებათა შესაგნებლად სჩანს მეტი გონება მახვილობაა საჭირო, ვიდრე ღმერთს ჩვენი კოსმოპოლიტებისთვის მიუზომია.

გ.

საკანონმდებლო დაწესებულებებში
(დეპეშები)

პეტერბურგი. ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომისია. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ბეჭდვითი საქმის სასამართლოს ორგანიზაციის საკითხმა. გერასიმოვი ოპოზიციის სახელით მოითხოვდა ბეჭდვითი სიტყვის საქმე გასარჩევად გადაეცეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ამის წინააღმდეგი იყვნენ ბეჭდვითი საქმეთა მთავარ სამართველოს უფროსი და მომხსენებელი. კომისიამ 13 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 9-ისა უარჰყო ოპოზიციის წინადადება. დაპატიმრების უფლება ენიჭება მხოლოდ ბრალმდებელს. ეს მუხლი კომისიამ 13 ხმის უმრავლესობით 12-ს წინააღმდეგ მიიღო. კენჭი უყარეს მუხლს: წინასწარი კონფისკაცია მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ თვალსაჩინო დანაშაულობისათვის. ამის წინააღმდეგ იყო 16 ხმა, მომხრე 10. ერთხმად მიიღეს წინადადება: იმ შემთხვევაში შეიძლება გამოცემის დაჭერა, თუ დანაშაულობა დაისჯება არა უმცირეს ციხეში დაპატიმრებისა.

სათათბიროს პრეზიდიუმსა და ფრაქციათა თავმჯდომარეებს თათბირი ჰქონდათ გამართული იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა ზომებით მიაღწიონ სათათბიროში საერთო კამათის დროს წესიერება არ იქმნას დარღვეული. სასტიკი ზომების ხშირად მიღებას თათბირი თანგრძნობით არ შეხვდა. სამჯობინაროდ სცნეს მიჰმართონ ფრაქციათა თავმჯდომარეების ავტორიტეტს, რათა ჩააგონონ მათ თვისი ფრაქციის წევრებს, მართებულად იქცეოდნენ სათათბიროს სხდომების დროს.

ამბოხება ეპირში
(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

ათინა. მთელი ოლქი კოლონია ალბანელების ჟანდარმერიას გადაეცა. საბერძნეთის ჯარები ლიასოვისაკენ მიემართებიან. მიტროპოლიტი ველასი, ეპირის ავტონომიურ მთავრობის წევრი, რომელმაც ავტონომიის გამოსაცხადებლად მოისურვა კოლონიაში წასვლა, იქ არ შეუშვა საბერძნეთის მთავრობამ.

სანტი-კვარანტა. ადგილობრივი საბერძნეთის მთავრობა უძლურია მეამბოხე ეპირელების წინააღმდეგ შესაკავებელ ზომების მისაღებად და უარს ამბობს წესიერების დამყარებაზე. საქმე ძალიან აწეწილ-დაწეწილია. საბერძნეთის მთავრობა შიშობს, რომ საერთაშორისო დამოკიდებულება არ გამწვავდეს, ანარქიის გამო. მთავრობის ნავთსადგურში უცხოეთის გემი შევიდა. ამის გამო საბერძნეთის მთავრობამ 22 თებერვლის ნაშუადღევიდან გამოაცხადა, ყველა სახელმწიფოს გემები, რომელნიც ნავთსადგურთან სამი მილის სიშორეზე იმყოფებიან, ალყაშემორტყმული იქნება და უკან ვეღარ გამობრუნდებიანო.

ათინა. ათინის დეპეშათა სააგენტომ განაცხადა, როს სანტი-კვარანტოს გარემოცვა მოხსნილი იქნება, თუ სახელმწიფოები მოითხოვენო.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ეპირელების ამბოხების გამო „რუსკოე სლოვო" ამბობს: „ეპირის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტისათვის ერთად-ერთი საშუალებაა—ბერძნებით დასახლებულ ყველა ოლქს ფართო ავტონომია უნდა მიენიჭოს. გაზეთის აზრით, ეს საუკეთესო ნაბიჯი იქნება პრინც ვიდის მხრივ. ალბანეთის ახალი სამეფოს ღირსება მოითხოვს, რათა ამ საქმეში უცხოელთა ჩარევა თავიდან აიცილოს".

ლონდონი. დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ სახელმწიფოები ამ დღეებში გასცემენ პასუხს ვენიზელოსის ნოტას. ამ ნოტაში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ სასურველია ბერძენ ეპირტების ჩარიცხვა ალბანელთა ჟანდარმერიაში, საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრის თვალსაჩინო ცვლილება და ეპირში მოსახლე ბერძენთავის საფინანსო, სასკოლო და სარწმუნოებრივ საკითხების უზრუნველყოფა. სამთ კავშირის სახელმწიფოთა აზრით, ეს აჩრდილი ავტონომიისა ცოტათი მაინც დაამშვიდებს ჩრდილოეთ ეპირის მცხოვრებთ.

საბერძნეთის მთავრობის როლი.

პეტერბურგი. კომპეტენტურ წრეებში ირწმუნებიან, რომ, როგორც უნდა უარჰყოს საბერძნეთის მთავრობამ თვისი მონაწილეობა ეპირის საქმეებში, არის ისეთი უტყუარი საბუთები, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ათინას კაბინეტი მხარს უჭერს ეპირის მოძრაობას ავტონომიის მოსაპოვებლად.

უჭერენ რა მხარს ეპირის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს, საბერძნეთის სახელმწიფო მოღვაწენი ჯერჯერობით მხოლოდ ერთს ელიან, სახელდობრ, რომ სახელმწიფოებმა ეპირის ავტონომია კანონიერად აღიარონ. ამას იქით ბერძნების სურვილები არ მიდის, რადგან მათ კარგად ესმით, რომ ადრე თუ გვიან ავტონომიური ეპირი საბერძნეთს შეუერთდება.

პეტერბურგი. სახელმწიფოებში ეპირის საკითხის გამო უკვე უთანხმოება დაიწყო. საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი იმ აზრისანი არიან, რომ ევროპამ ეპირის მცხოვრებთ უნდა მიანიჭოს ის გარანტიები, რომელსაც საბერძნეთი მოითხოვს. იტალია შეუძლებლად სცნობს ამას და სრულს თანხმობას პოულობს გერმანიაშიაც.

დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

23—24 თებერვალი.

უცხოეთი.

ბუდაპეშტი. 28 მარტს სატმარში დაიწყება 31 ჰუნგრულ-რუმინელ უნიატთა საქმის გარჩევა, მათ შორის მღვდელ მაროშისაც, რომელთაც მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენეს მადიარის საეპისკოპოსოში ახლად დანიშნულ ქორეპისკოპოსს იანკოვიჩს. ეს იანკოვიჩი დებრიჩინში აფეთქების დროს მოკვდა.

რომი, დეპუტატთა პალატა. პალატა შეუდგა ლივიის ხარჯთა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას. პალატამ უარჰყო სოციალისტთა მორიგ საკითხებზე გადასასვლელი ფორმულა.

ბუქარესტი. მეფემ პარლამენტის გახსნის გამო სეფე სიტყვა წარმოსთქვა; ჯარი ჩინებულ მდგომარეობაშია სთქვა მეფემ, რაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვის შეძლებას გვაძლევს აგრარულისა და პოლიტიკურის რეფორმებით.

ბელგრადი. „სამოუპრავა" მეთაურში აღნიშნავს იმ დაბრკოლებათ, რაიც დაუხვდება წინ ალბანეთის მეფეს ვიდს, მაგრამ ამასთანავე დასძენს, რომ გონივრულის მართვითა და ძლიერის ნებისყოფით ეს დაბრკოლებანი ძლეული იქნებაო. მაგალითად, მოჰყავს რუმინიის მეფე, რომლის ბრძნულმა მართვა-გამგეობამ მტკიცე ნიადაგზე დააყენა რუმინია; გაზეთი ბოლოს უმატებს, რომ სერბიაც დაინტერესებულია მეზობელ სახელმწიფოში წესიერების აღდგენით, რათა კეთილ-განწყობილება იქონიოს ალბანეთთანო.

ლონდონი. გარდაიცვალა ალფრედ სტიუარტი, ცნობილი პიონერი ნავთის მრეწველობისა.

ულსტერის სუფრაჟისტი ქალები კარსონის სახლთან მორიგეობენ; მათა სურთ კარსონის ნახვა, რათა შეიტყონ ულსტერის დროებითი მთავრობა მიანიჭებს ქალებს უფლებათ, თუ არა. კარსონი დეპუტაციას არ იღებს.

ბერლინი. 21 თებერვალს პირველად მოხდა ლაპარაკი ტელეფონით მაინის-ფრანკფურტსა და მილანს შორის. ხმა ფრიად მკაფიოდ ისმოდა. აზრადა აქვთ ტელეფონი ბერლინამდე გაიყვანონ.

ტოკიო. ქვედა პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს სეიუკაის პარტიის თვალსაჩინო წევრი ხასები.

ბუქარესტი. პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს ფერეკიდესი, სენატის პრეზიდენტად მისირი.

ბელგრადი. სკუპშჩინა. ხარჯთაღრიცხვის საერთო კამათის წინ ფინანსთა მინისტრმა პაჩუმ აღნიშნა, რომ სამეფოს საზღვრების გაფართოვების გამო ხარჯთ-აღრიცხვაც გაიზრდებაო. ხარჯთაღრიცხვას საერთო ჯამი უდრის 214.638,000; ამაში 60 მილიონი ახალ ოლქებზე მიდის, 54.000,000. სამხედრო უწყებაზე.

ვენა. „კორესპონდენც-ბიუროს" დურაცოდან ატყობინებენ: მოვიდა ალბანეთის მეფე მეუღლითურთ; მცხოვრებნი აღტაცებით მიეგებნენ მეფეს.

ბერლინი. სოციალისტურ გაზეთის „ფორვერტსის" პასუხის მგებელ რედაქტორს სამი თ-ის ციხე მიუსაჯეს კრონ პრინცის წერილობითი შეურაცხყოფისათვის.

რომი. რადიკალთა პარლამენტარულმა ჯგუფმა შეუძლებლად სცნო სამინისტროს პოლიტიკის მიმდევრობა. პარლამენტში ირწმუნებიან, რომ ოფიციალურად კრიზისი გამოცხადდება სამშაბათსო. მომავალ კაბინეტის მეთავედ ასახელებენ სონინოს ან სალანდრას. ჰგონებენ, რომ უკანასკნელის უფრო მეტი განსი აქვს მინისტრ-პრეზიდენტობისა.

პალატამ ხმის უმრავლესობით დაადასტურა ლივიისათვის გაწეული ხარჯთა ანგარიში.

ვენა. სარკინიგზო საკითხებზე მოლაპარაკება სერბიასთან განახლდა.

სოფია. სახალხო კრების არჩევნები მოხდა. მრავალი ამომრჩეველი იღებდა მონაწილეობას. წესიერება არ დარღვეულა.

ბელგრადი. მეფემ ხელი მოაწერა ახლად შეძენილ ოლქთა კოლონიზაციის მოწესრიგების ქაღალდს. ახალ ოლქებში დასახლება შეუძლიანთ სერბიის ყველა ქვეშევრდომს და ყველა სახელმწიფოს სლავიანებს. დასახლების უფლება ენიჭებათ მათ, ვინც 16 წელს არის მიღწეული და 60 წელზე არ არის ხნოვანი. დასახლებულ ოჯახობას მიეცემათ მიწა ზომით 5 გექტარი, სრულიად განთავისუფლებულნი იქნებიან გადასახადებისა და ბეგარისაგან 15 წლის განმავლობაში. 15 წლის შემდეგ ასახლებულის ოჯახობა შეიქნება საკუთრებად. იმ ოჯახობას, სადა 16 წლიანი ორი კაცი იქნება, დამატებით მიეცემათ თითო კაცზე ორ-ორი გექტარი.

ლონდონი. ხელ-ახლად დააპატიმრეს სუფრაჟისტ ქალთა მეთაური სილვია პანკჰერსტი. ამის გამო ბრბომ დემონსტრაცია მოახდინა მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტით. პოლიციამ ბრბო გაჰფანტა.

თეირანი. სატახტო ქალაქში არჩეულ დეპუტატთა უმრავლესობა ზომიერ პარტიებს ეკუთვნის. დემოკრატები არჩევნებში დამარცხდნენ.

სამშაბათს თეირანში მივა რუსეთის საქმეთა რწმუნებული საბლინი.

რუსეთი.

ოდესა. სამხრეთ რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების საბჭომ დაადგინა შეუდგეს საბჭოს მოქმედების პროგრამის გაფართოვებას და მჭიდრო კავშირი დაიჭიროს სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ორგანიზაციებთან. ამ მიზნის განსახორციელებლად საბჭო ახლო ხანში გამართავს თათბირს საბირჟო კომიტეტთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

პეტერბურგი. ყაზანის ნაწილში, პირველ საპოლიციო უბნის სამართველოში, უბნის ზედამხედველმა ივანოვმა მოჰკლა რევოლვერით იმავე ნაწილის ბოქაული პოდპოლკოვნიკი შებაევი.

მინსკი. ზალესის სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ადმინისტრაციის წინაშე, სოფლიდან გადაასახლონ ებრაელთა ხუთი ოჯახი. საზოგადოება შუამდგომლობის მიზეზად ასახელებს იმ ვნებას, რომელიც ებრაელთ მოაქვთ სოფლისთვის არაკეთილსინდისიერ და უმართებულო ვაჭრობა-ჩარჩობით.

პოლტავა. ზენკოვის მაზრაში ოპოშნის სოფლის საზოგადოებამ თვისი განაჩენით დაადგინა დაიკეტოს ხაზინისა და კერძო სამიკიტნოები.

კიშინიოვი. ამერიკაში მომხდარ კრიზისის გამო სოფლად ბრუნდება მრავალი ემიგრანტი.

კიევი. პოდოლში აღმოაჩინეს საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ებრაელ ბავშვთათვის ყალბ მეტრიკებს ამზადებდა. დააპატიმრეს ხუთი კაცი.

პეტერბურგი. თანახმად კიევის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობისა, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო შეუდგა კანონ-პროექტის შემუშავებას კიევში სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებლის დაარსებაზე.

პეტერბურგი. გადასახლების საქმეთა სამართველოს ცნობით გადასახლების მოძრაობა 1913 წელში გაცილებითა ჰჭარბობს წინანდელს მოძრაობას. გადასახლებულ ოჯახობათა უკან დაბრუნება ფრიად შესუსტდა.

პეტერბურგი. ცნობათა მიმცემი ბიურო უარჰყოფს გაზეთებში გავრცელებულ ხმებს, ვითომც იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთის მხრივ და მეორის მხრივ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შორის რაიმე უთანხმოება არსებობდეს.

მინსკი. ფილადელფიის რუსთა მოსახლეობამ მინსკის ადმინისტრაციას აცნობა, რომ რუსის გლეხები და ხელოსანნი ამერიკაში გამძვინვარებულ ეკონომიურ კრიზისის გამო სამუშაოს ვერ შოულობენ. ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია ამ ცნობას და მიწერილობა გაუგზავნა საერობო უფროსებს დროებით შეაფერხონ საემიგრაციო მოძრაობა, ვიდრე კრიზისი ამერიკაში არ განვლიდეს.

ველადივოსტოკი. სპორტსმენი ემილიანოვი ფეხით მიდის პარიზში. აზრად აქვს ერთ წელში ჩავიდეს პარიზს. საგზაო ხარჯს იშოვნის ვიოლონის დაკვრით.

თეატრი და ხელოვნება

ალ. წუწუნავას ბენეფისი.

დღეს, 25 თებერვალს, სახალხო სახლში რეჟისორის **ალ. წუწუნავას საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება I „პირმზე" ზღაპრული მოთხრობა 1 სანახ. კ. ფოცხვერაშვილისა, გალექსილი შოთა დადიანის მიერ II „მორევში" მესამე მოქმ. ს. ქანტურიშვილის ალ. იმედაშვილის მონაწილეობით და III „რევიზორი" მეხუთე მოქმ. გოგოლისა, დადგმული იქნება მოსკოვის სამხატვრო გეგმით მიზან სცენებით.

ვისაც კი სახალხო სახლში დადგმული პიესები უნახავს, დარწმუნდებოდა იმაში, თუ რა სერიოზულად ეპყრობა ალ. წუწუნავა. სახალხო საქმეს, რომ საქმისადმი ნამდვილი სიყვარულით გატაცებულია. ხალხი ყოველთვის აფასებდა მას და იმედია მის ბენეფისში უფრო დაუმოწმებს, რომ კიდეც აფასებს.

ქართული თეატრის ზამთრის სეზონი.

16 თებერვალს დასრულდა პირველი სეზონი, რომელიც ხუთს თვეს გაგრძელდა. სეზონის განმავლობაში გაიმართა სულ 57 წარმოდგენა. განმეორდა მხოლოდ 5 პიესა. ამ რიცხვიდან ორიგინალური პიესა დაიდგა 20, ნათარგმნი 21. ამ პიესებში ძველი იყო—24, ახალი—15. მთელი შემოსავალი უდრიდა—21,325 მან. 46 კაპ. წარმოდგენებს დაესწრო 31,806 სული. ორთაშუა რიცხვით თითო წარმოდგენას დაესწრებია 558 კაცი. ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე" დაიდგა 18 ჯერ. შემოსავალი იყო 9,462 მან. 68 კაპ. სულ დაესწრო—12,537 სული. ამ რიცხვში შედის ოთხი წარმოდგენა, გამართული ქუთაისში, რომელთაც დაესწრო 2,441 სული; შემოსავალი ქუთაისის წარმოდგენებიდან იყო 2,362 მან. 92 კაპ. ასეთი იყო წარსული სეზონი.

დრამატიული საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა გააგრძელოს სეზონი გაზაფხულის ბოლომდე. ამიტომ დიდმარხვის პირველი კვირის განმავლობაში გამგეობამ უკვე მოლაპარაკება დაასრულა და დასში მოიწვია მსახიობები: ქალთაგან მოწვეულია: ნ. ჩხეიძე, ა. ეიქოძე, ა. შოთაძე მოწვეულნი არიან აგრეთვე იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ბარველი და სხვანი. წარმოდგენების მართვა დაიწყება მიმდინარე კვირიდან. სეზონი გაგრძელდება პირველ მაისამდე.

ქუთაისი. კვირას, 2 მარტს, დანიშნულია მსახიობ **ანდრია მურუსიძის ბენეფისი.** წარმოდგენილი იქნება „ტაიფუნი". დრ. 4 მოქ.

მზადდება წარმოსადგენად ქ-ნ ფედოსია ჯაფარიძის პიესა „არწივი".

ღია წერილი
(გურიის საზოგადოებათა საყურადღებოდ).

შარშან ზაფხულში, ჩემი მოგზაურობის დროს, გურიის სხვა და სხვა სოფლის საზოგადოებამ თათბირი იქონია ხალხის გამადარიბებელ ჩვეულებათა მოშლაზე, როგორიც არის მაგ. ქორწილისა, ქელეხისა და დღეობების დროს. ამის თაობაზე სოფლის საზოგადოებათ განაჩენები დაადგინეს მცირეოდენის განსხვავებით. რადგანაც სასურველად მიიჩნიეთ მთელი გურიისათვის ერთნაირ განაჩენის დადგენა, კვლავ ვაპირებდი ხელმეორე მოგზაურობას. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამას ვეღარ ვახერხებ. იმედია თვითონ ადგილობრივი საზოგადოებანი და მოთავეპირნი განახორციელებენ დაწყებულ საქმეს. **ვარდენ ს. ძიძიშვილი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ოლღა ნიკოლოზის ასულს ჯანდიერს, მღვდელ მიხეილ ზალის ძე ნაცვლიშვილს და ვასო ხოსიტაშვილი, რომელთა შორის, პირველმა — გამოუწერა „სახალხო გაზეთი" 1914 წლისა, მეორემ — ჟურნალი „ჯეჯილი" 1913 წლისა და მესამემ — ჟურნალი „კლდე" 1913 და 1914 წლებისა სოფელ ბოდბისხევის უფასო წიგნთა-საცავ სამკითხველოს.

პატივისცემით სოფ. ბოდბისხევის წიგნთსაცავ სამკითხველოს **გამგეობა.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა შევსწირო ქ-ნ ანიკო წუწუნავას, რომელიც მესამე წელიწადია უფასოდ აწვდის ჩემდამი რწმუნებულ სკოლას საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს".

მიქელ-გაბრიელის ორკლასიან სკოლის გამგე **იასონ წუწუნავა.**

შემოწირულება

ქართულ სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს გამგე კომიტეტმა** მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: ქნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავისაგან 30 მან. მისი განსვენებული მეუღლის სახსოვრად, 12 მ. 75 კ.— სიღნაღის მაზრის ქართველ საზოგადოებისაგან და 5 მ. ხაშმის გლეხთა გუნდისაგან.

ყველა შემომწირველთ გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის.

დღეს

ქართული თეატრი. „ახალ კლუბის" საოჯახო საღამო: „რომანტიკი" და „ფიფი".

სახალხო სახლი. ალ. წუწუნავას საბენეფისოდ: „პირმზე", „მორევში" და „რევიზორის" მე-4 მოქ.

სახაზინო თეატრი. ოპერეტა „პუპსიკი".

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ვრდაის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. **ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711".**

ნაჭერი 25 კ.

ერთად-ერთი ფაბრიკა: **ფერდ. მიულგენსისა.** პარფიუმერია კელნი, რიგა.

Мѣтнъ. 547912.

1020

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. მუახართელი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საშვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტიხანოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარამეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტიხანოვი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1071

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლების დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა,** იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე; საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

საჭიროა ქართველი ცოტა შეგნებული **ქალი,** ყმაწვილებისათვის **ქართული ენის გასაკვეთად.** შეიძლება ხნიერიც. მისამართი: ყარსი, ვოენსკი ნაჩალნიკი იოსებ ზურაბის ძე ოქროპირიძე. 106

სანერგე
ამერიკულ ვაზისა „კლო-ქებურული" ქუთაისში
მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **რეპესტრისი,** რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით.
მუდამ გვეშოვება გასასყიდად
წოლიკაური, კრახუნა, ციცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და მრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული **ჯიშის** ნერგი (აგრეთვე პირდაპირი მომშენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შესაფერ ძირზე ნამყნობი, სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 1000 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

სავაჭრო სახლი
ე. ა. ცატუროვი და ამხ.
ტფილისი, სასახლის ქუჩ. ტელ. 238, ფირმა არსებობს 1869 წლიდან.
მივიღეთ დიდძალი რჩეული
ბროხილი ავეჯეულობა
მხოლოდ **ტონეტის** ქარხნისა
აგრეთვე
შპალიერი
ელექტრონის არმატურა. 1043

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.